წელიწადი მე-2-ე

სამშობლო

№ 358

ოთხშაბათი, 18 მაისი

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ, თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ-გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., -უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

უნუგეშო მწუხარებაში მყოფი ელენე ლუარსაბის ასული დარჩიაშვილისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 აპრილს გერმანეთის ქლაქ გრიბაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

ლადო დარჩიაშვილი.

პირველი პანაშვიდი გადახდილი იქნება ოთხშაბათს, 18 მაისს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში, ოლდენბურგის ქუჩაზე ფოსტასთან. შემდეგი პანაშვიდები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ევდუკი გიორგის ასული, ვასილ, იასონ, გიორგი, ნიკოლოზ (კოლია), ბაბილინა, ოლღა და ნინო კლდიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 16 მაისს, გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი მეუღლე, მეორეთა საყვარელი მამა

გრიგოლ გიორგის ძე კლდიაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს შვიდის ნახევარ საათზე, დინერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება, პარასკევს, 20 მაისს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

172 2—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ეკატერინე, დები ელპიტე და მინადორა, სიძე იოსებ მელია, ბიძაშვილი ამბროსი ჭოჭუა, ნათლულის დედმამა ილიტე და ნიკო, ნათლული ვლადიმერ და უკანასკნელის ბიძა გრიგოლ ნოდიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ 15 მაისს, ღამის 8 საათზე, ვერაგულათ მოკლულ იქნა „ლონდონის" სასტუმროს მოიჯარადრე

გრიგოლ დავითის ძე ჭოჭუა

გამოსვენება მოხდება „ლონდონის" სასტუმროდან 19 მაისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ქარვასლის ქუჩა ,,ლონდონის'' სასტუმროში.

ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის

ჭრა-კერვის

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „**ტრინდენისა**". იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოეგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ზოკიძის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87 თ

14

ექიმი ი. ჩარექოძე ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და ,,914'') დილით, 12½—. საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს სამკურნალო წყლების ექიმად. ავათმყოფების მიღება მან დროებით შესწყვიტა.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ვეილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურჯენიძისა. თ.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა.

ოთხფეხა მეგობრები, ბუნებიდან გადაღებული საფრანგეთის კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

მათხოვარი ქალი.

ღვთის გულისთვის მიეცით მას მოწყალება.

დრამა 4 ნაწილად ცნობილ არტ. დისენკოსა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა

სიკვდილის მეუღლე, დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად. უმთავრეს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ" წოდებული, **ლინა კავალიერი.** დაწვრილებით იხილე მესამე გვერდზე განცხადება.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა

ოთხფეხა მეგობრები

სისხლში მოსვრილი ყვავილი.

დრამა 5 ნაწ. სატახტო ქალაქის არისტოკრ. ცხოვრებიდან ცნობილ არტისტების ჩერნოვისა, მიჩურინისა და ტურჟანსკის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა.

პატე. ჟურნალი №340. მიმდინარე ამბები. **ბრჭყალებში.** მხატვრული დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ იტალიელ მსახიობ ქალის ესპერის და მსახიობთა ემილიონ ჰიონეს და ალბერტო კოლოს მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**" და „**რადიუმში**"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

საზოგადოება „სინათლე".

ხუთშაბათს, 19 მაისს,

ამადლებას

ქალაქის ბაღში გაიმართება

დიდი საჯარო სეირნობა ლოტარია-ალეგრით.

ოთხშაბათს, 18 მაისს, საღამოს 8½ საათზე

ელექტრო თეატრ „**რადიუმის**" შენობაში

კატო მიქელაძის მიერ წაკითხული იქნება

ლექცია

რუსთაველი და სიმბოლისტები.

ლექციის თეზისები:

1. მხატვარი, როგორც შემომქმედი და აღმზდელი, 2. ხელოვნების დანიშნულება, 3. ესთეტიური გრძნობა, 4) პრერაფაელისტები, 5. გიდროპატები, დეკადენტები, სიმვოლისტები, ესთეტიკები, პარნასიელები და დემონისტები, 6. საფრანგეთის სიმვოლისტები და ჩრდილოეთის სიმვოლისტები, 7. იბსენი, 8. ბოდლერი, ვერლენი, კატულ-მენდესი, დეზესენტი და სხვა, 9. ესკიზი შოთა რუსთველზე ბ-ნი რობაქიძისა, 10. სიმვოლიზმი „ვეფხის ტყაოსანში" ბ-ნი რობაქიძის თვალთახედვით. ბილეთები იყიდება „რადიუმის" კასაში დილის 10—3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან ლექციის დაწყებამდე.

171 2—1

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

(უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან)

პეტროგრადი 14 მაისი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. კუნძულ დალენის სამხრეთ მიდამოებში გერმანელებმა ყუმბარისა და ნაღმის მფრქვეველები აამოქმედეს. აქვე გერმანელებმა არტილერია აამუშავეს და რუსების თხრილებს დაუშინეს. ამის შემდეგ გერმანელებმა ისარგებლეს ბურუსით და იერიშები დაიწყეს, მაგრამ რუსთა ცეცხლით შეჩერებულ იქნენ. სხვა ადგილებში საარტილერიო და ჩვეულებრივი თოფის სროლაა.

კავკასიის ასპარეზი. მოსულის მიმართულებით, ოსმალებმა ქურთების დახმარებით იერიში მიიტანეს სერდეშტზე. ხიშტებისა და ცხენოსანთა კონტრიერიშების წყალობით, ოსმალები უკუ აგდეს.

პეტროგრადი, 15 მაისი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. 14 მაისს, გერმანელებმა სასტიკი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, დრისვიატის ტბის სამხრეთ მიდამოებში, რუსების თხრილებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ საარტილერიო და თოფის სროლით უკუაგდეს. სხვა ადგილებში ყველგან სროლაა. ბევრ ადგილას მფრინავებიც გამო ჩნდენ. რუსებმა ერთი ჰაეროპლანი დაუზიანეს მტერს და ილუკსტის მიდამოებში ჩამოუშვა.

შავი ზღვა. რუსის წყალქვეშამ ანატოლიის ნაპირებთან ოსმალთა იალქნიანი გემი ჩასძირა.

კავკასიის ასპარეზი. ოსმალთა იერიშები რევანდუზ დერგაპის მხრივ რუსებმა მოიგერიეს.

პარიზი, 14 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, საღამოთი იერიში მივიტანეთ სოფ. კიუმერზე და მის აღმოსავლეთით თხრილებზე. სასტიკი ბრძოლისშემდეგ, ჩვენ დავიჭირეთ სოფლის აღმოსავლეთი ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი „304" სიმაღლის აღმოსავლეთით, ფრანგებმა წინ წაიწიეს. ვერდენის ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიმშვიდეა.

პარიზი, 14 მაისი. ოფიციალი საღამოს ცნობა. სომის სამხრეთით ჩვენი არტილერია მკაცრად უშენს მტრის თხრილებს. შამპანშიც სროლაა. ნავარენის გზის დასავლეთით გერმანელები ჩვენ თხრილებში შემოიჭრენ, მაგრამ კონტრიერიშით უკუ ვაგდეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურის ტყესთან და „304" მაღლობთან საარტილერიო ბრძოლაა. ფრანგებმა 100 ტყვე წაიყვანეს და ორი ტყვიის მტყორცნელი ხელთ იგდეს.

პარიზი, 15 მაისი. ოფიცალი. არგონებში „285" სიმაღლესთან და ოტშევოსესთან წინ წავიწიეთ. მორტჰომის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა. ელზასში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რიგის ფრონტზე ამ უკანასკნელ დროს მოპირდაპირენი მხოლოდ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდენ.

ამ დღეებში რუსების ჰაეროპლანი თავს დაეცა გერმანელთა ბანაკს და 13 ყუმბარა ესროლა. რიგაში გერმანელებს დიდი ფურნე გაუმართავთ, სადაც ტყვე ჯარის კაცებს ამუშავებენ. ფურნეში პურს განსაკუთრებული ბარათის მიხედვით აცხობინებენ.

ვერდენის ფრონტზე, როგორც უკვე ვიცით, გერმანელებმა დუომონი აიღეს, ევროპის სამხედრო ავტორიტეტები დუომონის აღებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

იტალიის ასპარეზზე ავსტრიის ჯარი ორი მხრით განაგრძობს შეტევას: 1) კოლსიტიდან არსიეროს მიმართულებით და უახლოვდება ტერმინიო-მინტეგანიოს ხაზს და 2) არმენტიერის მიმართულებით ავიწროებს იტალიის ჯარს.

ბაზელიდან იუწყებიან: ბერლინის რეიჰსტაგში მომხდარა ნაციონალ-ლიბერალთა თათბირი, რომელსაც დასწრებია 200 დეპუტატი. თათბირზე მათ იგივე აზრი გაუმეორებიათ, რასაც ომის დაწყებისას ამბობდენ, ე. ი. ომი ბოლომდე—გერმანიის სრული გამარჯვებით და ანექსიური ზავით უნდა დასრულდესო.

ბავარიის სამინისტროს თავჯდომარეს უთქვამს ინგლისელ ჟურნალისტისათვის: გერმანიის ხალხი არავითარ შევიწროებასა და დაჩაგვრას არ განიცდის, ის იბრძვის დღეს მხოლოდ იმიტომ, რომ შემუსვროს თავდამსხმელი მტრის ძლიერება. გერმანია გეგემონიის მომხრე არ არის, პირიქით, იგი დიდათ ეწინააღმდეგება სხვა ერების დამონებასა და მათი უფლების ფეხქვეშ გათელვასო.

ჩრდილოეთ გერმანიის ლლოიდის დირექტორის, გრევეს, თავჯდომარეობით და ცნობილ ბალინის მონაწილეობით, გერ-

მანიაში შემდგარა ახალი „სამხედრო კომიტეტი", რომელმაც უნდა შეიმუშაოს გეგმა გერმანიის მომავალ საგარეო ვაჭრობის აღდგენისა.

— —

პეტროგრადში მყოფი შვეციის ელჩი გამოსთქვამს თავის აზრს რუსების მიერ ალანდიის კუნძულების გამაგრების შესახებ. რასაკვირველია, შვედელთ სწადიათ რომ ომის შემდეგ აღარ იქნება კუნძულები გამაგრებული რუსეთის მიერ და ამნაირად ყოველივე მიზეზი რუსეთსა და შვეციის შორის უთანხმოებისა მოისპობაო.

— —

გერმანიის მართველობაში დიდი ცვლილება მომხდარა. გადაყენებულია ფინანსთა, შინაგანი და იუსტიციის მინისტრები. მინისტრების გადაყენების მიზეზათ ასახელებენ მათ უვარგისობას თანამედროვე მომენტისათვის.

— —

ვილჰელმს ბულგარეთის სამხედრო ატაშესთან საუბრის დროს უთქვამს: „ჩვენ გადავლახეთ სიძნელენი ბალკანეთის ნახევარი კუნძულისა, შევიჭერით რუსეთის ტერიტორიაზე, ავიღეთ ბელგია და დღეს ნურავის საეჭვოთ ნუ მიაჩნია, რომ ასევე დავსძლევთ ყოველგვარ სიძნელეს და ავიღებთ ვერდენის სიმაგრესაც, რომელმაც ურიცხვი მსხვერპლი შეიწირა გერმანიის მხრითაო

— —

ვალონაში იტალიის ჯარმა თავის მთავრობისგან ბრძანება მიიღო გაფრთხილებისა, ვინაიდან მოსალოდნელია ავსტრიელთა თავდასხმა.

— —

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი კავკასიის ასპარეზზე ოსმალეთის ჯარს იმ მდგომარეობაში სთვლის, რა მდგომარეობაშიაც იყო ამ რამდენიმე თვის წინად იგი დარდანელთან და გალიპოლისზე. ახალგაზდა ოსმალები გაზეთ „ტანინში" იმედს გამოსთქვამენ, რომ მაკენზენის დანიშვნა აზიის ჯარის მთავარ ხელმძღვანელად დიდ ნაყოფს გამოიღებს და ოტომანთა იმპერიას მწარე განსაცდელი თავიდან აშორდებაო.

— —

სომხეთის საკითხს ოსმალეთში ახლა ძლიერ ცუდი თვალით უყურებენ. ახალგაზდა კომიტეტს განუცხადებია, დღეიდან ოსმალეთი, არა თუ რაიმე რეფორმებს მისცემს ოსმალეთის სომხებს, არამედ იმ მინიმალ უფლებებსაც კი ჩამოვართმევთ, რომლითაც ისინი დღემდის სარგებლობენო.

ოსმალეთის ყოფილ სულთანს აბდულ ჰამიდს „ტანის" კორესპონდენტისთვის უთქვამს: სახელმწიფოს გადასარჩენად საჭიროა აუცილებლად ყველა მართლმორწმუნე ქვეშევრდომი ამოქმედდეს და მას თანავე დაისაჯოს ყველა ის „გიაური", რომელიც ოტომანთა იმპერიის არსებობას ძირს უთხრიდაო. აბდულ ჰამიდი ძლიერ განრისხებული ყოფილა სომხებსა და ალბანელებზე. როგორც ვიცით, 1891 წ. აბდულ-ჰამიდმა 1 მილიონი სომეხი გასწყვიტა.

სამხედრო მიმოხილვა.

უკვე სამი თვე შესრულდა, რაც დაიწყო ვერდენთან ბრძოლა, რომელიც სამხედრო ისტორიაში ისეთსავე, საყურადღებო ადგილს, მოიპოვებს. როგორც ოდესღაც ეჭირა ელლინთა ფერმოპილთან ბრძოლას, ვატერლოოში ნაპოლეონის „ბედთან შებრძვას და სხვათა. ამის მაგვარი ბრძოლა არა, თუ ომის გადამწყვეტია, არამედ დამწყობია მთელი ახალი ეპოქისა ისტორიაში. სწორედ ამიტომ ვერდენის ბრძოლა ბედის გადამწყვეტია ორივე მხარესა თვის, იგი დასაწყისია დასასრულისა, მხოლოდ რომელი მხარესათვის იქნება იგი საბედისწერო და რომლისათვის არა, ამას მომავალი დაგვანახვებს. ბევრმა სამხედრო მიმომხილვამ ვერდენის ბრძოლა თავიდანვე კედელზე თავის ხეთქვათ ჩასთვალა და ბევრ მას იგი დაკოდილ ლომის ნახტომს დაადარა მაგრამ ნუ ავჩქარდებით, შევხედოთ ბედს, პირდაპირ ამოვიკითხოთ მის სახეზე მომავალი შესაძთებლობა და ზომები მივიღოთ.

რას ვხედავთ ჩვენ ვერდენთან ბრძოლის შეჩერებაში გერმანელების მიერ, ნუ თუ სამუდამო დასუსტებას? ასეთი დუმილი ხომ მუდამ სდევს ხოლმე გერმანელთა შეტევას და ამ მიყუჩების შემდეგ კვლავ დაუწყიათ ახალი დიდი ოპერაციები ამის დამამტკიცებელია მთელი რიგი განვლილ სამხედრო ოპერაციებისა და ამასვე მოწმობს „გერმანიისაგან განმზადებულ" ავსტრიელთა ეხლანდელი შეტევა იტალიის ასპარეზზე, მით უმეტეს ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი გერმანიის დასუსტების შესახებ, რომ მიუხედავათ ღირსეული მოპირდაპირისა და ვერდენის ბრძოლის გამოურკვევლობისა, მაინც მედგრად შეუტიეს იტალიის დასვენებულსა და მაგარ მიუდგომელ პოზიციებს

მით უმეტეს თუმცა ავსტრია ძნელ პირობებში აწარმოვებს ამ შეტევას, უგზოობის გამო, მაგრამ იტალიელები მაინც იძულებული შეიქნენ მწყობრად უკან დაეხიათ და 15 მაისს სუგანოს ველეში გადმოვიდენ. იტალიის დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

შვერელი.

ვსთქვა რამ?—ვაია, უთქმელობა—უბედურება!

რუსეთის სოციალ-დემოკრატების ბანაკში დიდი და წარმოუდგენელი არევ-დარევაა. მთელი მათი მოძღვრება, მთელი მათი ნაქადაგევი დღევანდლამდე ყირამალა გადატრიალდა და არამც თუ საშუალო ნიჭისა და მოხერხების სოციალ-დემოკრატს, არამედ თვით ლიდერებსაც კი გზა აებნათ და ისე გაიხლართენ თავის მიერ შექმნილ „ტაკტიკა-აზროვნების" აკლდამებში, როგორც ობობა—ქსელში.

გ. პლეხანოვი ლანძღავს პატივცემულ კარლო ჩხეიძეს, მარტოვი აგინებს პლეხანოვს, აქსელროდი, კაკი წერეთელი და სხვანი ტაშს უკრავენ მარტოვს, ჩვენი ანი ემხრობა აზრს პლეხანოვისას, ამ ჭეშმარიტ რუს მამულიშვილისას, „ახალი კვალი" სდგას იმ პოზიციაზე, რომელზედაც სდგას სახელმწიფო დუმის სოც. დემოკრ. ფრაქცია და რომელსაც იცავს ციმერვალდის კონფერენცია". ე. ი. ემხრობიან კ ჩხეიძეს, მარტოვსა და კაკი წერეთელს, „თანამედროვე აზრს", ალბად, თავისი საკუთარი „აზრი" ექნება! ერთის სიტყვით, გუშინდელი ამხანაგები დღეს ერთმანეთს ველარ სცნობენ და მონასტერი აირიაო რომ იტყვიან, სწორედ რუსეთის მუშათა სოც. დემოკრატიულ ბანაკზე ითქმება.

ერთი კი არის აღსანიშნავი და დიდად საყურადღებო: როგორს „აბრუნდი-დაბრუნდის" გზაზედაც არ უნდა დადგეს ესა თუ ის ლიდერი სოც.-დემოკრატებისა, რა დიდი განხეთქილებაც არ უნდა სუფევდეს მათ შორის, ჯარი მათი, ეს ძლიერის დისციპლინით შეკრულ შებოჭვილი ჯარი—პროლეტარიატი (თუმცა საქართველოში პროლეტარიატი არა გვყავს) არ იჩენს თვითმოქმედებას, თავისს საკუთარ აზრს და ერთხელვე ჩაყენებულ კალაპოტში იჯუჯგება.

საკმარისია, მაგალითად, თუნდა ჩვენში, —საქართველოში—რომელიმე „ღენერალმა პროლეტარიატისამ" ერთი რამ დააყრანტალოს, რომ მთელი ჯარი აჰყვეს მას განუკითხავად, განუსჯელად, უპროტესტოთ; საკმარისია ერთმა რომელიმე „მუშათა ინტერესების„ დამცველმა გაზეთმა გამოაცხადოს რაიმე ყურმოკრული ამბავი, ან ჭორი, ან ცილის წამება ამა თუ იმ სხვა გვარად მოაზროვნე მოღვაწეზე, საკმარისია „ზანმა', თუ „განმა", . კანმა" თუ „ქანმა" (ლიდერებად ცნობილებმა, რასაკვირველია) სთქვას: ეს და ეს მწერალი და მოღვაწე მოღალატეა, ოპორტიუნისტიაო და მთელი ჩვენი „პროლეტარიატიც" ის „პროლეტარიატი", რომელიც სწორედ შეწამებულ მწერალ-მოღვაწეთა ნაწერებზე გაიზარდა, ფეხზე დადგეს და დაიღრიალოს შესაზარი სიტყვები: „მოღალატეა, ოპორტიუნისტია, ჯვარს აცვით, ჯვარს აცვით ეგეო"!...

მაგალითისთვის შორს არ წავალთ უდროოდ გარდაიცვალა ი. ევდოშვილი, რომელმაც თავისი გულის ტამრები (ნერვები) ფიანდაზად გადაუშალა ქართველ მშრომელ ხალხს ჩვენ ვიცით, რომ ხალხს უყვარს იგი, ზეპირად იცის მისი ლექსები, მაგრამ, რაკი „თანამედროვე აზრმა" დემაგოგიურის მოსაზრებით გამოაცხადა ი. ევდოშვილი „მოღალატეაო", დასელმა მუშებმაც დასტურები აფრინეს თავის რედაქციაში: ,,ი. ევდოშვილის შესახებ ვიზიარებთ ჩვენი ინტერესების დამცველ გაზეთის აზრსაო!"

საკმარისი იყო ბ-ნ ანს ლანჩხუთიდან გაეგზავნა დეპეშა თბილისში: ვგლოვობ ლ. დარჩიაშვილს, რადგანაც, თუმცა ჩვენი აზრისა არ იყო, მაგრამ მაინც ჩვენს მოწინაალმდეგეთა ბანაკში არ ჩაეწერაო და მთელი პრესაც ჩვენებურ დასელებისა ახმაურდა. (ორი დღე სდუმდენ ლადოს გარდაცვალების შემდეგ. ალბად, „სიგნალს" უცდიდენ) აბა, ახლა დააკვირდით კილოს ლადოს შესახებ წერილებისას, თუ ბ ნ ანის დეპეშის ფარგლებში არ ტრიალობდენ. ერთი აზრი არც მეტი, არც ნაკლები!... კარგი და დიდებული იყო ლადო იმიტომ, რომ ჩვენს „მტრებს" არ მიემხრო, თუმცა ჩვენს აზრს სავსებით არ აზიარებდაო".

რატომ არ იზიარებდა მათ აზრს? იმიტომ, რომ ლადო საქართველოისა და ქართველი ერის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა, ქართველთა ნაციის, ქართველი ერის სამსახურით აპირებდა ინტერნაციონალის გაძლიერებას. მაგრამ ჩვენი დასელები ამას როდი ამბობენ. „ლადო წინაალმდეგი იყო ჩვენი იმიტომ, რომ ოპორტიუნისტ--(?) ვანდერველდეს მოწაფე იყოვო" და გამოდის, რომ ლადოც ოპორტიუნისტი ყოფილა! თავდადებულ „ამხანაგის'' პატივისცემაც ასეთი უნდა!

ეჰ, რა სთქვას კაცმა! თვით ლადო უნდა იყოს ცოცხალი, რომ ღირსეული პასუხი გასცეს ამ თავის „ღრმად დამწუხრებულ ამხანაგებს", თორემ, აბა ჩვენ რას გავაწყობთ მათთან, ვინაიდგან ღმერთიც რომ ჩამოვიყვანოთ ზეციდან, არ დაგვიჯერებენ, რადგანაც ჩვენ არ ვიზიარებთ ჩვენი დასელების მარქსისტულ მოძღვრებას, კლასთა ბრძოლაზე მაღლა ვაყენებთ კლასთა თანამშრომლობას, გვწამს თავისუფალი საქართველო, მისი ისტორიული უფლებანი და თავისუფალი მშრომელი ხალხი, რომელიც არ უნდა იყოს არც ერთ ჯგუფის ყურმოჭრილ ყმად,—როგორც დღეს არის, რისთვისაც დიდიხანია გამოცხადებული ვართ „მშრომელი ხალხის მოღალატედ''...

ის ღმერთმა იცოდეს, ის ხალხმა შეიგნოს, ვინ უფრო ,,მოღალატე'' [illegible] რის და ვინ უფრო [illegible] დებს. ბურთი [illegible] გვიდევს და ჩვენი მოქმედების მაყურებელი ქართველობა ერთხელაც იქნება გაარჩევს, ვინ რას აკეთებს ამავე ხალხისათვის!

დღეს დღეობით კი არც ერთი ქართველი მოღვაწე არ არის უზრუნველყოფილი შეურაცხყოფისაგან (სიცოცხლეშივე, თუ კუბოში), თუ კი ,,ღმერთი გაუწყრა'' და დასელების გაწვრთნილ ჯარში არ მოჰყვა, თუ ,,ღმერთი გაუწყრა'' და ან ჩამოშორდა მათ და თავისი საკუთარი აზრი გაიჩინა საქართველოსა და ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე!...

ასეა თუ ისე, დღეს მეთქი, ჩვენში არსებული „მიმართულებანი" ისე თავ-გზა არეულნი არიან, რომ გულუბრყვილო მკითხველი ჩვენის გაზეთებისა მეტის-მეტ გაურკვევლსა და უბედურ მდგომარეობაში უნდა იყოს!

წარმოიდგინეთ თქვენ ასეთი ქართველი მკითხველის ყოფნა. ვსთქვათ, სცხოვრობს იგი სოფლად. მისდის მას „თანამედროვე აზრი", „ახალი კვალი", „სახალხო-მეგობარ-ზვირთი" „საქართველო" და „სამშობლო". რა აზრს დაადგეს, რა გაიგოს, რა ისწავლოს? „აზრი" და ახალი კვალი" თავის მტრებად აცხადებენ ცხრა მეათედს მთელის ქართველობისას, „სახალხო-ზვირთ მეგობარი" ჩემულობენ ბატონ-პატრონობასა და გრძნობა გონებას მთელის ხალხისას, „საქართველოსისა" და „სამშობლოს" ხმა იკარგება საერთო ორომტრიალში. მაშ, რაღა დარჩენია გულ-მართალ მკითხველს, თავის სამშობლოსადმი სამსახურის მოსურნეს? თუ მიემხრო პირველ ორს?!—საქართველოზე ხელი უნდა აიღოს და რაც უნდა უყვარდეს იგი, რაც უნდა მეავე პატრიოტი იყოს, რაც უნდა ჰკლავდეს სევდა სამშობლოს მოშორებისა, პირზე დაიდოს უნდა ბოქლომი, გულზე მარწუხები მოიჭიროს და იყვიროს ის, რასაც ჰყვირის დღეს ბ ნი პლეხანოვი, ან მარტოვ—ჩხეიძე—რადგანაც უამისოდ გაწვრთნილი და დამონებული ჯარი მათი 84, 100, 200, 300... 500,. . 1000, 2000 ჰიათურელი, თუ არა ჰიათურელი „დასელი მუშა" ცოცხლათ ჩაჰქოლავს და სიკვდილის შემდეგ აღდგომა დღეს ბატკნის მაგივრად ლეკვს დააკლავს საფლავზე!

აღიაროს „სახალხო-ზვირთ-მეგობრის" მოძღვრება?!—იქნებ არ უნდა ორ სკამზე ჯდომა, ან ბანკში სამსახური, იქნებ არ უნდა ფედერატიული კავშირი ესკიმოსებთანა და სამოედებთან, როცა შინ ძმებსაც ვერ მორიგებია!

დაუახლოვდეს „საქართველოსა და სა-

ქართველების დამოკიდებულება ევროპასთან.

(დასასრული იხ. „სამშობლოს" № 355)

წერილი ვენეციის რესპუბლიკის მიმართ.

„განათლებულთა მაგათ დიდთა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა."

„მრავლის ჟამითგან დაგვჭირდა რათამცა ევროპის თვით მპყრობელთა, ყოვლად მაღალთა კეისართა და ყოვლად მოწყალეთა დიდებულთა ხელმწიფეთა და მეფეთა და უგანათლებულესთა მაღალთა შეკრებულებათა ვაწყინოთ თავი და დამჭირნეცა ჩვენი მოვახსენოთ და რათამცა ჰყონ წყალობა, მაგრამ აქამომდე მძლავრთა მტერთა ისმაიტელთა, და სხვათაცა წინაალმდეგთაგან ვერ მივიღეთ ჟამი."

„და არა დროსა შინა ვეწვიენით მოწყალებათა ღვთისასა და მივიღეთ ესდენი ბედნიერება, და აწ დროსა ამასა გაწყინეთ განათლებული გონება თქვენი ნუ უმე შევაწუხეთ, და ვითხოვეთ თქვენის განათლებულისაგან, რათა ახლა ღვთის წყალობათ აღიძრათ და რომელიც ამ პატრის მაეროსაგან დაბარებული აქვნდეს წერილებით თუ პირათ უნაკლულოთ ჩვენად მოიხსენიოთ და რა გვარათაც ჩვენის სათხოვრის აღსრულება მოგახსენოთ, ის აღგვისრულოთ".

„ჩვენ თქვენს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამსახური არ მიგვიძღვისრა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და იოხედ ღვთისა თხოვილი ჩვენი აღგვისრულეთ და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანთა გული თქვენთვის მოიგევით, განათლებულებისა მრავალნი თქვენიცა საქმენი წარემართოსთ ღმერთმან ყოვლისა შინათ."

„რადგანაც აზიის ერთ კერძოდამ ევროპაში ვსახედ შეწევნად, თქვენცა რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩვენ და ჩვენს ერზედ, თქვენთვისაც საკადრისი გვგონია, რომ ჩვენი თქვენთან მოხსენებული თხოვილი აღგვისრულოთ. ვეკრძალვით თქვენი განათლებულების ამდენ თავის წყენასა, ვითხოვთ, რომ ეს მოხსენება თქვენს განათლებულ გონებას არ შესწყინდეს".

„განათლებულებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ კახეთისა და სხვათა ერეკლე. დაიწერა სამეუფისა ქ. ტფილისს, ოქტ. 18-ს დღესა, 1782 წ."

ამ წერილით მიმართულ დავალების, თუ თხოვნის ცნობები მეორე წერილში ცხადათ არის გამოთქმული, ამიტომ მოგვყავს ეს მეორე წერილიც უცვლელად.

„მათ განათლებულთ დიდსა ვენეციის შეკრებულთა."

„ქ: თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდათ მოვერცხობთ და ვეკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩვენის ქვეყნის მწუხარება და გაჭირვება სხვის აზრით მოგვიხსენებია, ის მაკადნიერებს. ჩვენის სათხოვრის აზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და ამ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რა რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოდ სცნავს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს".

„მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა ერეკლე 1 ოქტ 1782 წ"

წერილების დაწერის რიცხვიდან სჩანს, რომ ორივე წერილი ერთ დღეს არის ნაწერი. ამ წერილებს გარდა ამავე რესპუბლიკის წინაშე სხვა წერილებიც ყოფილა მეფისაგან დაწერილი და მიმართული, ხოლო მათ ჩვენ არა ვიცით რა. ვგონებთ, ამ წერილის ცნობიდამ სჩანს ის გარემოება, რომ XVIII საუკ. ქართველებს კარგად სცოდნიათ ევროპიელთა განათლება და მასთან ტრფიალება და ნატვრა აღძვრიათ მის შესახებ, რომ ქართველთაც თავისი სამეფო ჯარი ევროპიულათ მოეწყოთ. ვგონებთ, ამის უარს ვერავინ იტყვის, რადგანაც ეს თვით წერილის სიტყვებიდანაც კარგად სჩანს.

ჩვენს კოსმოპოლიტურს ხანაში ბევრი ქართველთა უარისმყოფელ მიმართულებით არის გაჟღენთილი. არიან ისეთი გმირნი, რომელნიც საქართველოს მეფობაში უმეცრების მეტს სხვას ვერას ხედავენ. ამის მოტრფიალე არის ბევრი. ამათთვის საქართველოს უარის ყოფა და გმობა თითქმის აღდგომის შესაჭმელ კვერცხს შეადგენს. რაც შეეხება ქართველთაგან რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ცნობას, ეს ბევრმა საცინლად და სამასხაროდაც მიიღო, მაგრამ თუ სიწყნარეს ვიქონიებთ და ამ წერილებსაც დავაკვირდებით, მაშინ ჩვენ სულ სხვას დავინახავთ.

იმედია, ასეთი ცნობები ჩვენს მტერმოყვარეებსაც ლახვარივით მოხვდებათ გულში და იქნება მათ ეს ველარც კი მოინელონ, რადგანაც, მათის ფიქრით, ქართველების მეფობის დროინდელი ყველაფერი უმეცრებათ მიაჩნიათ არიან ისეთი პირებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ ქართველებმა ქრისტიანობა XIX საუკუნის შემდეგიდამ მიიღესო, რომ ქართველებმა წიგნის ბეჭდვაც ამ დროიდამ დაიწყესო, ვითომც თეატრის ხსენება 1867 წ. გაიგეს და ქართული ჟურნალ გაზეთების გამოცემაც ამ დროიდამ დაიწყო და სხ, რაც შეეხება რესპუბლიკურ მართვა-გამგეობის ცოდნას, რევოლიუციის გაცნობას და ამ გვარ საქმეთა შესახებ ქართველებს წარმოდგენა არ ჰქონდათ.

რასაკვირველია, იმათ ამ ვაჟბატონებს სურთ ქართველთა ღირსება და მნიშვნელობა დაამცირონ ბევრის ფიქრით, ქართველები თხუნელას გვანან, რომელნიც სოროებში ძვრებიან და იმალებიან. სხვა რამ ცხოვრების რიგიანი წესები ამათ არას დროს არ ჰქონდათო. ასეთივე აზრი გამოსთქვა პროფესორმა ეგიაზაროვმა რუსულს ენაზე დაბეჭდილ წიგნში „ამქრული წესწყობილება კავკასიის ხალხებში.

ამ პირის აზრით, ქართველებმა არავითარი ხელოვნება არ იცოდენ, მთელს საქართველოში ყველა ხელოსანი, კულტურული საქმის მცოდნე სულ სომხები ბერძნები და თათრები ყოფილან, ქართველებს არაფრის კეთება არ შესძლებიათ. არც სახლებისა არც ტაძრებისა, არც ხიდების და სხ.

ქართველები აკეთებდენ მხოლოდ სოროსავით ოთახებს და შიგა ძვრებოდენ თაგვებივით. სთესდენ პურს სიმინდს, ქერს, აყენებდენ ჭყაპ-ღვინოს და სვამდენ უზომოთ, პურს კი ღორებივით სთხვლეპავდენო. ამაში გამოიხატებოდა ქართველების ღირსებაო. ამაზე მთელი ტომია დაწერილი.

აი, როგორ ამცირებდენ ქართველებს ეს ვაჟბატონები.

ასეთი მათი შეხედულება ქართველებზე სიმართლეს მოკლებულია, ვინაიდან ქართველებმა შეძლებისადაგვარად იცოდენ მიზანი რევოლიუციისა, იცნობდენ რევოლიუციონური მთავრობის მართვა-გამგეობის მიმართულებას, იცოდენ როველიუციის წარმომშობი მიზეზები და სხვა.

რესპუბლიკური მთავრობის კანონებს გარდა, ქართველები იცნობდენ თვით რესპუბლიკის მეთაურების თანამდებობის ღირსებასაც და ამ ღირსების გამოსახატავათ ქართულ ენაზე ხმარობდენ შესაფერ ტერმინებსაც.

ასე ფიქრობდენ ევროპიელებზე ქართველები 1780 წ. 1781 წ. რუსეთს დაუმეგობრდენ და აი სწორეთ ეს დამეგობრება და ევროპასთან დაახლოვების განზრახვა გახდა მიზეზად აღა მაჰმადხანის შემოსევისა საქართველოში და ქართლ-კახეთის აოხრება. ამ გარემოებამ მეფე ერეკლე დიდათ დააფიქრა და სინანულში ჩააგდო.

ამის გამო მეფე ერეკლემ წერილი მისწერა იმპერატორ პავლეს და საყვედური შეუთვალა:

— მე თქვენი იმედი მქონდა და ამიტომ თქვენის მფარველობის ქვეშ შემოვედი; თქვენ არ გიკმარეთ და ევროპასაც მივმართე და ამავე დროს კი ჩვენს ქვეყანაში აღა მაჰმადხანი ქურდულად დამეცა და ამიკლოვო, არც თქვენ მოგერიდა და არც ევროპის სახელმწიფოთა მორიდება იქონიაო.

მეტი გზა აღარ მაქვს, ახლა ისევ ოსმალეთს უნდა მივმართო, თორემ მე თქვენი და ევროპიელთა დახმარების იმედი ვერ მიშველის; თქვენ შორსა ხართ და ესენი კი ჩემის ქვეყნის მახლობლათ არიან. ვიდრე თქვენ ჯარს მომაშველებთ, ესენი მე მომსპობენო.

მართლაც. ამ დღეიდან, ე. ი. 1796 წ. ერეკლე მეფემ ოსმალეთს დაუწყო მეგობრობა და წერილების წერაც.

მიტომაც გახლავსთ, რომ მეფე ერეკლეს, მოხუცებულს ოსმალური ჩალმა ახურავს, თორემ მანამდის იგი სულ ქართული ქუდით დადიოდა, ანუ კოხურის ნაბდის ქუდით ამის შემდეგ ერეკლემ მაინც დიდხანს ველარ იცოცხლა და 1798 წ. გარდაიცვალა.

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა ძე მისი გიორგი. გიორგის გამეფება ოსმალ-სპარსელებს არ ეამათ, ვინაიდგან გიორგი მეფეს დიდი მიდრეკილება ჰქონდა რუსეთის მფარველობისაკენ. იმავე დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

ანონსი: 19 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდი საუცხოვო სურათი, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა რომისა, პარიზისა, ლონდონისა, პეტროგრადისა და მოსკოვის საზოგადოებანი. დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად პროლოგით. სურათს დასდგამს ემილიო ჭიონსი, ფირმა ტიბერ ფილმისა ტურინში

სიკვდილის მეუღლე

მთავრესს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ“ წოდებული, **ლინა კავალიერი.**

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში რომსა და პარიზში და სურათის არაჩვეულებრივი სიმშვენიერე მაყურებლებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ დიდ სურათის დადგმის ნება აქვს კავკასიასა და მის გარეთ მხოლოდ

აქციონ. ამხანაგობა „ფილმას“ ქ. ბაქო.

ყურადღება!!! ეს ისეთი საყურადღებო და ფსიხოლოგიური სურათია, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს. **ლინა კავალიერი** ეს მეტად მდიდარი ქალია და რომში ბევრ ადგილას აქვს ვილები. მისი სამი მარგალიტის მაფი შეფასებულია ორ მილიონ მანეთად და მეორე გულსაკიდი 250000 მანეთად. მისი ძვირფასი ტანსაცმელები, პაკენა მოდელის ფირმისაა. ბოლოს გამოვა ლინა კავალიერის აწინდელი მეუღლე ფრანგულ დიდ ოპერის მსახიობი ლუჩიანო მურატორა.

მშობლოს?! - მერე ხომ დაარჩევს „უპროგრამობისა და უპრინციპობისათვის“, მერე ომ პატიოსანი ქართველი კაცი ჯვარზე აკრეს, ზოგიერთა უზნეო და უთვითნებო კნინებმაც კი ქოქოლა მიაყარეს, „ილიას სისხლით მოვაჭრე“ უწოდეს, უპატიოსნო და უნამუსო გახადეს!..

მაშ, რა ჰქნას მეთქი ნამდვილმა თავის ქვეყნისა და თავის კეთილდღეობის მოსურნე ქართველმა კაცმა, ქართველმა მკითხველმა? სად წავიდეს? ვის მიჰმართოს? ვის ენდოს? ვის გაუზიაროს თავისი გულის პასუხი? როგორ დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი?..

ჰფიქრობთ ამაზე თუ არა ყველა ჯურის ქართველო კალმოსნებო, მოღვაწეებო, მებრძოლებო, ნასწავლებო, უსწავლელებო, თავადებო, აზნაურებო, მღვდლებო, მოხელეებო, გლეხებო, მუშებო? სად, სად მივდივართ? რას ვსჩადით? რას ვაკეთებთ?...

ოხ, ნეტავ იმას, ვისაც ასეთი ჯოჯოხეთი კითხვები არ უტრიალებს გულში! ნეტავ იმას, ვისაც შეუძლია ან ბატონი იყოს და ან მონა, ნეტავ იმას, ვისაც შეუძლია უსიტყვოთ დაემორჩილოს უსამართლობას, გულგრილად უყუროს თვალთმაქცობასა და ვერაგობას, ნეტავ იმას, ვისაც შეუძლია სხვისი თავით აზროვნება, სხვისი გულით—გრძნობა, სხვისი თვალებით ხედვა და სხვისი ხელებით საქმის გაკეთება?! მაგრამ რა ჰქნას მეთქი იმან, ვისაც უნდა ოჯისადაც დარჩეს და ღირსეული წევრიც იყოს თავის ოჯახისა, თავის საზოგადოებისა, თავის ერისა, თავის ქვეყნისა და მთელი კაცობრიობისაც, თუ ეს უცნაური კაცობრიობა ფიქცია არ არის, თუ ეს მილიონ თავიანი და ორ მილიონ თვალებიანი ვეშაპი მარტო საფარი არ არის, რომ რომელიმე დემაგოგს, რომელიმე დიქტატორს, ძალით თუ უფლებით, გონებით თუ გრძნობით, საშუალებითა თუ მდგომარეობით, მოხერხებითა თუ თვალთმაქცობით—ყოველივე სიგლახე ჩაიდინოს, ყოველივე უფლება ხელში მოიგდოს, ყველა თავის ნებასა და დუდუკზე აკუნტრუშოს!

სად არის, სად ეს ხალხი, ეს სამართლიანობისა და ძმობა-ერთობის მოტრფიალე ხალხი, ეს თავისუფლებისა და თანასწორობის მღაღადებელი ხალხი, მასსა, მუშები, დამაშვრალნი და ტვირთმძიმენი?

სად არის, სად მცნება: შენც იცხოვრე და მეც მაცოცხლე?

სად არის, სად მოძღვრება: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი?

სად არის, სად სწავლა: მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას?

სად არის, სად, შეგნება,—შებრალება, განკითხვა, შეწყალება, სიყვარული, ქველობა, ვაჟკაცობა, ადამიანობა?

ნუ თუ ყველაფერი ესეც ფიქციაა, მოჩვენებაა?

ნუ თუ იმიტომ დნება კაცი სამშობლოს საკურთხეველზე, რომ მერე მოღალატე უწოდოს ამა თუ იმ გაბატონებულმა ჯგუფმა?

ნუ თუ იმიტომ ატარებს კაცი სახეს ღვთისას, რომ მერე „ოპორტიუნისტი“ უწოდოს ამა თუ იმ მონამ გარემოებისამ, სხვის თვალმა და ყურმა?

ნუ თუ ყველაფერი, რაც იწერება, რაც კეთდება, რაც სისხლი და ოფლი იღვრება, ყველა ეს იმისთვის არის, რომ შენ ბატონი იყო და მე კიდევ შენი მონა?

საშინელებაა, მაგრამ მე რომ ვუყურებ ჩვენს დღევანდელ ყოფნას, დღევანდელ ჩვენს ურთიერთობას, დღევანდელ ჩვენს საქციელს, დღევანდელ ჩვენს მოქმედებას, არ შემიძლია პატივცემულ ანთან ერთად არ ვიკითხო: ვცნობთ თუ არა როგორც თვით გამორკვევას, ისე თავის დაცვის უფლებას, ვინაიდგან „ნაცია და ინტერნაცია ორი რგოლია ერთი და იმავე წყებისა; ისინი ერთი მეორეზე გადაჯაჭვული და განუყრელათ დაკავშირებულია. ინტერნაციონალი გულისხმობს ნაციის (ეროვნების) მის უფლებას იცხოვროს დამოუკიდებლათ და დაიცვას ეს დამოუკიდებლობა, როცა მას ემუქრებიან?“*).

აი, ეს საკითხი დადებითად უნდა გადასჭრას არა ამა თუ იმ ჯგუფმა, ანუ პარტიამ, არამედ მთელმა ერმა, მთელმა ხალხმა საქართველოისამ და მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო ტანჯვას ჩვენის ქვეყნისას, დევნას ჩვენის მოღვაწეებისას, გაუგებრობასა და გზააბნეულობას ჩვენის მკითხველებისას, შენ ჩომობასა და მბრძანებლობას თითოეულის ჯგუფისას, ფანატიკოსობასა და დამქაშობას ჩვენის სამართლიანობის მოსურნე, მაგრამ დამჯერო მუშებისას, მაშინ გამოჩნდება ვინ არის მართლა ხალხის მტერი და ვინ მოკეთე, მაშინ და მხოლოდ მაშინ, მოისვენებენ სამარეში ძვლები ჩვენის ხალხისათვის თავდადებულ მოღვაწეთა—დღეს შელანძღულნი და შეგინებულნი.

ამავე კითხვის მთელი საქართველოსაგან გადაწყვეტა ბოლოს მოუღებს ჩვენში კერძო პიროვნებათა დემაგოგიას და საქართველო, ქართველი ხალხი თვითვე შეიქნება თავის თავის ბატონი ..

მე არ ვიზიარებ მსოფლმხედველობას ბ-ნის ანისას, როგორც დასელისას, მაგრამ მე მრწამს, რომ ანი დიდი ქართველია, ნამდვილი ქართველია და რადგანაც დიდი გავლენა აქვს დღეს ჩვენს მუშებზე, ამ საკითხის გადაწყვეტა ბოლოს მოუღებს თვით მის სულიერ ტანჯვას, თორემ ერთხელაც იქნება ქართველობა მისი დასძლევს მის დღევანდელ პარტიობას და მაშინ დღევანდელი სოციალ-დემოკრატია, თუ კვლავ დარჩა ასეთ ყოფნაში—ანსაც ისევე მოღალატედ ან ოპორტიუნისტად მონათლავს, როგორც მონათლა ი. ევდოშვილი, ან ლადო დარჩიაშვილი!

რაღა პირით უნდა შევხედოთ მაშინ ერთმანეთს, ბატონებო, სადღა უნდა ვეძიოთ ხსნა მაშინ ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის ხალხისა!..

ია ეკალაძე.

---

*) იხ. „ახალი კვალი“ № 23.

გიორგი მეფე სნეულიც იყო, რადგანაც დიდი მჭამელი იყო და მასთან დიდი ოჯახის პატრონიც. სულ 21 შვილი ჰყავდა, სამი მკვდარი და 18 ცოცხალი. ესეც დიდათ აღონებდა ამას. ბევრი ფიქრის შემდეგ, მეფე გიორგიმ გადასწყვიტა რუსეთისადმი მიმართვა და დაკავშირების თხოვნა, ამისთვის ამოარჩიეს ოთხი დესპანი და თორმეტიც ფიცის კაცნი. 1798 წ. დამლევს ესენი გაგზავნეს პეტერბურგს, პავლე იმპერატორთან.

ქართველ დესპანების პეტერბურგში მისვლამდე, თფილისში ჩამოვიდა სამხედრო ინჟინერი მუსინ პუშკინი და მემადნე ნემენცი ესვალდი; ამათ გამართეს მეფე გიორგისთან მოლაპარაკება და ბორჩალოს მადნების იჯარით აღება სთხოვეს. ამ ლაპარაკის დროს, პავლე იმპერატორთანაც გაიმართა უკვე მიწერმოწერა და კაცების გზავნა შეერთების გამო. ბევრი თათბირის შემდეგ, მეფე მოურიგდა ინჟინერ მუსინ პუშკინს მადნების გადაცემას, ხოლო ამის სანაცვლოდ მეფე წლიურად თავის სახარჯოთ 18 ათას თუმანს სთხოვდა. ამის პირობაც-კი დასწერეს 1799 წ. მორიგების ლაპარაკმა კარგა ხანს გასტანა. მეფეს იმედი მიეცა, მე ამ ფულით რუსეთში კარგათ ვიცხოვრებ, ამიტომ ჩემი ცოლშვილით რუსეთში გადავსახლდებიო. მაგრამ ამას მეფე ველარ მოესწრო, ვინაიდგან მუსინ პუშკინს 1799 წ. მოურიგდა, პირობა კი 1800 წლის შუა რიცხვებში დასწერეს. მეფე გიორგიც მალე გარდაიცვალა, ამავ წლის 28 დეკემბერს, და ამით საქმე დასრულდა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1800 წლის შემდეგ, თუნდაც მეფე გიორგის რომ ეცოცხლა, პირობის წერილი უმნიშვნელო იქნებოდა, რადგანაც შემდეგ რუსეთს ქართლ-კახეთი დაუკავშირდა პოლიტიკურათ და ამ სახით მთელი საქართველოს მამულ—მადნებიც მათ საკუთრებათ გამოცხადდა. ამ დროს ზოგიერთმა პირმა მხედველობაში მიიღო მეფე ერეკლეს ტრაკტატი, დადებული 171 წ. და ეუბნებოდენ მეფე გიორგის, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების პირობათ მიღებულ იქნას ის ტრაქტატი, რომელიც მეფე ერეკლემ დაუდო რუსეთის იმპერატორსაო. გიორგი მეფეც თანახმა იყო, ხოლო „კალმასობის“ დამწერის ცნობით, ამ ტრაქტატს თვითონაც მიუმატეს რამდენიმე მუხლი, რომელიც მეფის სასახლეში განიხილეს თურმე საჯაროდ. გიორგი მეფე აუცილებლივ ითხოვდა რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებას. ამასთანავე დაავალა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ შეერთების პირობა მოხდეს ისე, როგორც მეფე ერეკლესაც სურდაო აი რასა სწერს მეფე გიორგი გარსევან ჭავჭავაძეს: „თუ ცნობილის პირობით და ტრაქტატის ძალით მოხდა შეერთება ხომ კაი, თუ არა და წინააღმდეგ შემთხვევაში, დახსნილ იქმნეს ყოველივე მოლაპარაკება და ჩვენ ურთიერთ შორის გვექნება მხოლოდ მეზობლური განწყობილება, ვითარცა სამეფო, ეგრეთვე საზღვარნი მისნი დახსნილ იქნეს თვინიერ ურთიერთისადმი მეზობლურის ქცევისა.“ ეს წერილი პ. იოსელიანსაც მოჰყავს „მეფე გიორგის ცხოვრება“-ში.

გ ჭავჭავაძის მოხერხებით შეერთების საქმე გართულდა, ვინაიდგან მეფე ერეკლესაგან დადებულ ტრაქტატის მუხლებს არ იწყნარებდენ. ეს ამბავი მეფე გიორგიმაც შეიტყო და შენიშნა. მაინც 1800 წლის შემოდგომის პირზე საქმე მორიგებით გათავდა, იმპერატორმა პავლემ თავის თანხმობა განუცხადა დესპანებს და დაავალა ეს თანხმობა მათ მალე ეცნობებინათ მეფე გიორგისთვის, მაგრამ მათ ჩამოსვლამდე მეფე გიორგი უკვე გარდაიცვალა 28 დეკემბერს. დესპანნი კი თბილისს დაბრუნდენ 31 დეკ. ამათ ამბავს მეფე გიორგი მოუთმენლად ელოდა; სიკვდილის წინათ, მეფეს ეახლა დედოფალი და ჰკითხა თუ რამ უბედურება გვეწვია, მაშინ ვის აბარებ სამეფოსაო?

მეფე შეშფოთდა ამაზედ, ვინაიდგან მას გაახსენდა მეფე ერეკლის ანდერძი, რომ მის სიკვდილის შემდეგ მისი ძმა იულონი უნდა გამეფებულიყო და არა გიორგის შვილი დავითი, რომლისაც არც თვით გიორგი მეფე იყო მადლიერი. მეფემ ბრძანა თურმე:—ბარათაშვილო გიორგი! მომგვარე ღენერალი ლაზარევი. ლაზარევი მალე მივიდა მეფესთან. მეფემ სთხოვა ღენერალს წერილი დაეწერა იმპერატორ პავლესთან და აცნობოს უკანასკნელი დღენი მისის ცხოვრებისა და ისიც, რომ ჩამიბარებია ანდერძით ცოლშვილი და საქართველო წერილი დასწერეს მოკლედ მეფემ ხელი მოაწერა, ბეჭედი დაასვეს და გაგზავნეს შიკრიკით პავლე იმპერატორთან. ვიდრე ამ წერილს პეტერბურგს ჩაიტანდენ, პავლე იმპერატორიც გარდაიცვალა. მის მერე ტახტზე ავიდა ალექსანდრე პირველი და 18 იანვარს, 1801 წ. პეტერბურგში უკვე მანიფესტი გამოიცა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდაო. რუსეთთან საქართველოს დაკავშირებას ქართველობის უმრავლესობა სიხარულით შეხვდა ზოგნი კი წინააღმდეგნი იყვნენ ამ შეერთებისა

პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე აი რას სწერს ამ გარემოებაზე.

„გახსნათ გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
რომ შენით შევიდეს მათ შორის განათლება“.

ნიკოლოზ ბარათაშვილიც კეთილის კილოთი ეხება ამ გარემოებას, ეს სწერს ასე:

„სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი,
შუნ სამშვიდობოს, მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

ასეთისავე აზრის გახლავსთ პოეტი გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი და ბევრიც სხვა მელექსენი, თუ მეისტორენი. პ. იოსელიანი აი რას სწერს ამაზედ:

„ღვთის განგებას ვერავინ შეაყენებს, განიხილონ მკითხველთა მეფე გიორგის ცხოვრება“ და სთქვან: ვის შეეძლო ქართველთ სამეფოს დაცვა, გარდა რუსეთისა, თვით რუსეთი, ვითარცა კოლოსსი დიდი ებრძვის 70 წელს კავკასიის მთათა მცხოვრებთა, განგება ღვთისა რუსეთისავე ძალითა მოიყვანს ნათესავობით ქობულეთს, აჭარას, ლივანას და სხვაიცა თურქთაგან პყრობილს.

თუმცა ეს უკანასკნელი ფურცლები წერილის სათაურს არ შეესაბამება, მაგრამ აქ მოვიყვანეთ ეს იმ აზრით, რომ მკითხველს გავახსენოთ ის პირობები, თუ მეფე ერეკლემ როგორის პატივით დაუქვემდებარა საქართველო რუსეთს და ან როგორი ტრაქტატი იქნა დადებული და ეს ტრაქტატი როგორ იქნა განახლებული 1800 წ. ან დღეის შემდეგ ამ დიდს გარემოების პირობებს ჩვენი მეისტორიენი როგორ უნდა უმზერდნენ. საყურადღებოა ეს გარემოება და კარგად შესასწავლი, თორემ, ზოგის ფიქრით, 1781 წ ტრაქტატი ბევრს ავიწყდებათ და 1800 წლის საქმისთვის არაფერს მნიშვნელობას არ აძლევენ, ეს კი არ შეიძლება, ვინაიდგან ეს ასე არ არის. 1800 წ. მეფე გიორგი რჩება, მხოლოდ მეფე გიორგათ და მის შემაერთებელ პირობათ კი 1781 წ. ტრაქტატი. ასეა საქმე და ეს ჩვენც მიტომ მოვიყვანეთ აქ.

გ. ჯ.

რუსული პრესა.

„რუსკია ვედომოსტი“ ერთს მოწინავე წერილს კიდევ უძღვნის კავკასიის ერობის პროექტს და, სხვათა შორის, სწერს:

ნუ თუ შესაძლებელია ეფიქრა ერილობის უმრავლესობას, რომ კავკასიის მრეწველთა კლასი არ ეთვილიყოს დაინტერესებული ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში. მდიდარი კავკასიის მომავალი დამოკიდებულია მის მრეწველობის განვითარებაზე. ამ ხანად ამ კლასის ხელშია მთელი კავკასიის ტეხნიკური, კულტურული და ქონებრივი ღონისძიებანი, რაც საჭიროა ქვეყნის ეკონომიურ წარმატებისათვის. ნუთუ შეიძლება მრეწველთა კლასის დაშორება ერობაში მუშაობას და ან მოწყვეტა ადგილობრივ მცხოვრებთა ფართო წრეებისა, თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ ინტერესებს და მომავალი ერობის მუშაობის სიდიდეს.

ჩინებულია, ბატონნო რუსეთის ჭეშმარიტო დემოკრატებო! ჩვენ გვწამს, რომ თქვენ კავკასიისათვის კეთილი გსურთ, მაგრამ მილოვ-ადელხანოვ ჩაჩიკიანცი და, მთელი ამისთანა პლეადის ჯგუფი, კავკასიის ქონებრივი, ტეხნიკური და კულტურული ზრდით რომ დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ, ამას ჩვენ ვერ დავიჯერებთ, თუნდაც რომ მთელი კადეტთა პარტიის ვექილებმა დაიწყონ ამის მტკიცება.

კატო მიქელაძის ლექცია.

დღეს, 18 მაისს, ბრიუსელში სწავლა დასრულებული ქართველი ქალი კატო მიქელაძე „ელექტრო თეატრ რადიუმში“ წაიკითხავს საყურადღებო ლექციას შემდეგ თემაზე; „რუსთაველი და სიმბოლისტები“. დაწვრილებითი თეზისები ჩვენს განცხადებაში მოყვანილი.

იმედია, ქუთაისის საზოგადოება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს კატო მიქელაძის შრომასა და მოღვაწეობას და დასწრებით გაამხნევებს მას.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ორშაბათს, 16 მაისს, ქალაქის მოურავის ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანის თავჯდომარეობით შესდგა საბჭოს კრება; კრებას ხმოსანთა მცირე რიცხვი დაესწრო. საბჭოს მოხსენდა სოოჯახო კომისიისა და გამგეობის მიერ შედგენილი ნიხრი ხორცსა და პურზე. საბჭომ პირველი ხარისხის ხორცზე დაამტკიცა 6 შ მეორეზე 5 შ პურის ნიხრი პირ. ხარის. 24 კ. ხოლო მეორეზე 22 კ. დანარჩენი გასარჩევი საქმეები შემდეგი კრებისთვის გადაიდვა განსახილველათ.

◆ ორშაბათს, 1 მაისს, ქუთ. გუბერნატორის, გრაფ გუდოვიჩის, თავჯდომარეობით შესდგა საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრთა კრება. კრებამ დაამტკიცა: ა) ქუთ. ქალაქის საბჭოს დადგენილება სავაჭრო სავალდებულო დადგენილების შესახებ ზოგიერთა მუხლის შესწორებით. ბ) ქ. ოზურგეთის რწმუნებულთა დადგენილება 46 მან. და 88 კ. გადახდის შესახებ ქალაქის კასიდან დაკარგული პატენტის ნაცვლათ, ქალაქის ხარჯთ ამკრეფისათვის თვიურ ჯამაგირზე პროცენტების მომატებისა და ქალაქის ერთ ერთ ქუჩას „დუმბაძეების“ სახელის დარქმევის შესახებ, ხოლო ამავე ქალაქის პროექტი ხელოსანთა და ნოქართა ნორმალური დასვენების შესახებ, ქალაქის დებულების 22 მუხ. დარღვევისათვის, კრებამ უარჰყო და გ.) ფოთის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებლის საჩივარი სენატის სახელზე, რომელი საჩივარიც შეეხება საგუბერნიო სამოქალაქო საკრებულოს უკანონო გადაწყვეტილებას, კრებამ გადაწყვიტა გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

◆ ქუთაისის ფქვილის ვაჭარს მ. ა. მოშიაშვილს დეპეშით აცნობებენ ფოთიდან, რომ. იქ. ხომალდით მის სახელზე 22 ვაგონი პურის ფქვილი მოსულა.

◆ ამ მოკლე ხანში ქალაქის თეატრში საქველმოქმედო მიზნით გაიმართება ლიტერატურული სალამო, სადაც ლექციას წაიკითხავს ბ ნი ალ. წერეთელი.

◆ ამ მოკლე ხანში არქიერის გორაზე გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება კოტე ფოცხვერაშვილის ცნობილი პიესა ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან „აშენდა საქართველო“.

◆ ქუთაისში რამდენიმე მანდილოსანს განუზრახავს აჭარაში საექსკურსიოთ გამგზავრება. განზრახვა ფრიად სიმპატიურიადა ამის შესახებ დაწვრილებით ცნობებსა და პირობებს შემდეგ მოვათავსებთ.

◆ ქართული გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფეებს განუზრახავთ გამოცდილ ხელმძღვანელთა თანხლებით დასავლეთ საქართველოში ექსკურსია მოაწყონ.

სოფლად.

ს. გეჯეთის მცხოვრები მიხეილ და კოტატი ალასანიებს მიწის თაობაზე ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს კოტატი ალასანიას რევოლვერით მოუკლავს მიხეილ ალასანია მკვლელი დაუტუსაღებიათ.

ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

16 მაისი.

კრება იხსნება გუბერნიის მარშლის თ-დ დავით ღ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით ქართულ გიმნაზიის დარბაზში. კრების გახსნის წინ თავჯდომარემ წაიკითხა ხელმწიფესთან გასაგზავნი დეპეშის შინაარსი, რომელსაც კრება „ურათი“ შეხვდა. შემდეგ კრება შეუდგა მორიგ საკითხების გარჩევას.

თავჯდომარე აუწყებს კრებას, თუ როგორ მიმდინარეობს თავად-აზნაურთა დეპუტატების მიერ აღძრული შუამდგომლობის საქმე შესახებ რკინის გზის კონცესიისა (რაჭა-ქუთაისი ხონი და სამტრედია). კრებას გამოაქვს დადგენილება, რომ ამ საქმის შესახებ არჩეულ იქნან ნ. ნიკო-

ლაძე, თ. ლადიანი და ბაქრაძე და მათ მიენდოსთ საქმის მოწესრიგება.

კრება ეხება თავად-აზნაურთა კასის საკითხს შემდეგ ბ-ნი ვლადიმერ ალშიბაია თხოულობს სიტყვას.

ბატონებო აქამდი მე არ მქონდა უფლება მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში ცენზის უქონლობის გამო. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ეს ცენზი შევიძინე და ამის გამო ვსთხოვე ზუგდიდის სამაზრო თავად-აზნაურთა საკრებულოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გამოურკვეველ მიზეზების გამო, 3 ხმის წინააღმდეგ ორისა, დაადგინა თითქოს ჩემი საბუთები იყოს ფიქტიური და არ მომცა უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. შემდეგ მივმართე საგუბერნიო საკრებულოს, მაგრამ საკრებულომ დაადგინა ეს საკითხი გადაცემოდა თავად აზნაურთა საერთო კრებას. მხოლოდ დღეს რაღაც მიზეზების გამო, ეს საკითხი დღევანდელ გასარჩევ საქმეებში არ არის შეტანილი. მე ნამდვილი ნოტარიუსით დამტკიცებული საბუთები მაქვს) რომლის საშუალებითაც მივმართე საგუბერნიო საკრებულოს ..

თავჯდომარე გთხოვთ ილაპარაკოთ საქმეზე

ალშიბაია დიაღ მე სწორეთ საქმეზე ვლაპარაკობ, რადგანაც საჭიროა თავად-აზნაურობამ იცოდეს საქმის მდგომარეობა. დიაღ, ბაზო, განაგრძობს ვ. ალშიბაია საგუბერნიო საკრებულომაც უარყოფითი პასუხი მომცა, მე უკვე საშუალება აღარ ვიცი სად, ან ვის მივმართო. სად არის აქ თავადური კეთილშობილური მოქმედება?

თავჯდომარე (აწყვეტინებს), მე გთხოვთ თავად-აზნაურობის ღირსებას ნუ ეხებით

ალშიბაია სრულიადაც არა.

თავჯდომარე ალშიბაია! გთხოვთ დაბძანდეთ! პოლკოვნიკი **მიქელაძე** ამბობს, რომ ალშიბაიას სრულიად არ შეურაცხყოფია თავად-აზნაურობა. როგორ გეკადრებათ აქ პატიოსანი აზნაური საქმი გარემოებას გვიხსნის და თქვენ ნებას არ აძლევთ სიტყვის თქმისას?

ბ-ნი ალშიბაია განაგრძობს. მე მიკვირს რატომ მე მითხრა უარი სამაზრო საკრებულომ, მაშინ, როდესაც ზუგდიდის მაზრის მარშლის ცოლსა და შვილს კი არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭა. (გაისმის სიცილი).

თავჯდომარე თქვით ის, რაც გინდათ, საზღვარს ნუ გადასცილდებით.

ბ-ნი ალშიბაია მე სწორედ ვლაპარაკობ იმას, რაც მინდა, სხვაფრივ რაპარაკი სასაცილოა. მე ვთხოვ თავად-აზნაურობას მიაქციოს ჩემს საქმეს ჯეროვანი ყურადღება და მე კრების გადაწყვეტილებას როგორიც უნდა იქნეს დავემორჩილები შემდეგ **თავჯდომარე** კითხულობს რაღაც საბუთებს (არა ის მის რა).

პ. წერეთელი ბ-ო თავჯდომარე! ეს საბუთები სრულიად საინტერესო არ არიან და მიკვირს ვისთვის კითხულობთ.

თავჯდომარე მე ამ საკითხის შესახებ ვსპობ კამათს და თუ ვისმეს ეს ჩემი საქციელი არ მოსწონს, შეუძლია გაასაჩივროს. (ხმები: არ შეიძლება, უკანონობაა. საკითხი უნდა გავარჩიოთ).

ს. მიქელაძე არ მეგულება მთელ რუსეთში არც ერთი სასამართლოს ინსტანცია, რომ ადამიანისთვის საშუალება არ მიეცეს საქმის გარჩევისა. ეს თქვენი საქციელი პირდაპირ ძალდატანებითია, ამიტომ ვინც თქვენს ძალდატანებას არ თანაუგრძნობს ის მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში მე პირველი ვტოვებ დარბაზს. მიქელაძეს წასვლა უნდა. მას არ უშვებენ.

თავჯდომარე მე ამას ჩავდივარ იმ უფლებით, რომლითაც ვარ აღჭურვილი (ხმები: ეს უფლება ჩვენ მოგეცით)

ქ. აბაშიძე, ვ. ჩილაძე და სხ. გამოსთქვამენ, რომ ეს ძალმომრეობაა,

კრებას ეტყობა აღელვება ხმაურობაა არაფერი ისმის. თავადები ერთმანეთზე იარაღით იწევენ. ამ დროს თავჯდომარეს ირგვლივ ეხვევა მისი მომხრეები, ყველას იარაღზე უდევს ხელი. ზუგდიდის მაზრის მარშალმა რევოლვერი ამოიღო. ჩავარდნენ შუა კაცები, რომელთაც შესძლეს აღელვებული თავად აზნაურობის დაშოშმინება).

თავჯდომარე კრებას დახურულად აცხადებს და ამბობს, რომ ამ საკითხის გამო ამ საღამოს იქნებიან მოწვეული იურისტები და ისინი გაარჩევენ

კრების გაგრძელება მეორე დღისათვის გადაიდვა.

ომი თუ ზავი?

როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკს

ნეიტრალურ სახელმწიფოებში სდგებიან განსაკუთრებული კომიტეტები, რომელნიც ზავის პირობებს იმუშავებენ

ზავის მქადაგებელნი მებრძოლ სახელმწიფოთა შორის შუამავლობასაც კი კისრულობენ მებრძოლთა შორის მომავალ ზავის ჩამოგდების საქმეში შუამავლებათ გამოდიან ამერიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილსონი, რომის პაპა და ესპანიის მეფე.

მსოფლიო ტრაღედიის თავის დაღწევას, უეჭველია, ყველა დიდი აღფრთოვანებით უნდა შევხვდეთ, მაგრამ, თუ მებრძოლ მხარეების დღევანდელ ძალთა განწყობილებასა და ბრძოლის ასპარეზებზე მათ მდგომარეობას რეალურის თვალთახედვის ისრით გავსინჯავთ, მაშინ ზავზე ლაპარაკი ნაადრევათ უნდა მივიჩნიოთ.

როგორია დღეს მდგომარეობა მებრძოლ მხარეებისა?

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელები გამალებით უტევენ მოპირდაპირეს ჩრდილო ტიროლში ლომბარდიის საზღვრებზე როგორც ვიცით, იტალიის მთავარი მიზანი იყო ავსტრიისთვის წაერთმია ტრიესტი, ტრეტინო და სხვა, რომელნიც იტალიას ჯერაც ვერ ჩაუგდია ხელში, პირიქით ავსტრიის ჯარი მოღალატობისათვის მას მედგრათ უტევს და სამაგიეროს უხდის. მართალია, თავს ჯერ დამარცხებულათ არც ერთი მხარე არა გრძნობს, მაგრამ იბადება კითხვა: რა მიზანი ჰქონდა იტალიას საბრძოლად გამოსულიყო, თუ აღნიშნულ ადგილებს ხელში ვერ ჩასგდებდა? მაშასადამე, მათ შორის ზავზე ლაპარაკი ზედმეტია.

ვერდენის ბრძოლას ჯერ არავითარი არსებითი შედეგი არ მოყოლია, გერმანელები, რომელთაც აქ უამრავი მსხვერპლი შესწირეს ასე ადვილად ვერ მოსცილდებიან მის მიდამოებს.

ინგლის-გერმანიის ასპარეზზე მდგომარეობა პირველ ყოფილია. კავკასიის ასპარეზზე რუსის ჯარი ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე მეტად ღრმად შეიჭრა და ოსმალეთის არსებობას დაემუქრა. მაშასადამე, ოსმალეთი ასეთ პირობებში ზავის ჩამოგდებას ვერ დათანხმდება.

ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ნერვიული მდგომარეობა, რომელიც სუფევს ბალკანეთის ერთა შორის (საბერძნეთი და რუმინია), რომელთა ომში ჩარევაც ყოველდღეა მოსალოდნელი, რაც ბრძოლის მიმდინარეობაზე შესაფერ გავლენას მოახდენს.

დასასრულ, თუ უმთავრესათ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ჯერ არც ერთი მებრძოლი მხარე არ სთვლის თავს დამარცხებულად და კვლავინდებური ენერგიით ემზადება საბრძოლად, რისთვისაც ბრძოლის ველზე ახალახალი დარაზმული ძალები გაყავთ, ნაადრევია ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკი და შუამდგომლობა, ვიდრე უმთავრეს ბრძოლის ასპარეზებზე თვალსაჩინო ცვლილება არ მოხდება ამა თუ იმ მებრძოლ ჯგუფების სასარგებლოთ.

Ser.

ჩვენებური საქმიანობა.

(დასასრ. იხ. გაზეთ „სამშო." № 356)

წინა წერილში მე შევეხე ქალაქისა და საურთიერთო ბანკის მამულების გაცვლას. ამ წერილში მინდა გამოვსთქვა ჩემი მოსაზრება ამ მამულების გაცვლასა და სარგებლიანობაზე ორივე მხარესთვის და იმედი მაქვს, ჩემზე უფრო დაკვირვებული პირები ხმას ამოიღებენ და თავის აზრს პრესის საშუალებით გააცნობენ საზოგადოებას

როგორც მოგეხსენებათ, საურთიერთო საზოგადოების მამული, თავისი შენობით არის იქ, სადაც შარშან მოთავსებული იყო ქალაქის თვითმართველობა. ეს მამული პუშკინის ქუჩით გძელდება ვიტუშინსკის შენობამდი. ამ ადგილზეა ბ მ. ლაღიძის ქარხანა და გადის რიონისკენ ჩასახვევ ქუჩამდის ამ მამულს აკრავს ორი მამული, რომელიც ძალიან იაფად იყიდებოდა. ერთი ამ მამულთაგანი, როგორც ვიცით, თვით ბ. ლაღიძემ შეისყიდა იქ, სადაც დელეჟნების კანტორა არის, მეორე კი ჯერ ისევ გასაყიდია. ამ მამულების შეუსყიდველათაც ამ ადგილზე თამამათ მოთავსდება ქუთაისის ქართული თეატრის შენობა, გარდა იმ სახლისა, სადაც თვითმართველობა იყო მოთავსებული.

აი, ეს შენობა ქალაქს უნდა გადაეკეთებია თავის ბინათ, ბალახვანის ქუჩის მხრით ძირა სართულში მოთავსდებოდა სხვადასხვა სატენნიკო თუ სავაჭრო მაღაზია, რომელსაც კი საჭიროება მოითხოვდა; თვითმართველობის ბინასა და ვიტუშინსკის შენობის შუა, რიონის ჩასახვევამდის გაიმართებოდა მშვენიერი თეატრის შენობა, რომელსაც შეეფარებოდა, ძველი შენობების მასალებით თვით თვითმართველობის ბინისა და ვიტუშინსკის სახლის კედლებიც.

აქ თეატრის შენობის აგებას ხელს უწყობს ფართო ქუჩები, ფაეტონების დასაყენებლათ, წყალის სიახლოვე, ადგილის სისწორე და ქალაქის შუა გულზე ადგილის მდებარეობა. ხოლო თუ საჭიროებამ მოითხოვა, მისამატებელი ადგილიც ადვილათ აღმოჩნდება. მგონი ყველა დამეთანხმება, რომ ეს ადგილი და სახლი ქალაქისთვის დაუფასებელი განძი იქნება, რადგანაც ისეთ ადგილზეა მოქცეული. რომ ქალაქს ყოველთვის შეეძლება მითი სარგებლობა.

ამ მამულის სამაგიეროთ საურთიართო ბანკი მიიღებს იმ მამულს, სადაც დღეს ქალაქის თეატრია აშენებული, ამ შენობას ბანკი გადააკეთებს ორ სართულიან შენობათ; ძირა სართულში გაიხსნება 5 დიდი მაღაზია, ხოლო ზემო სართულში თავისუფლად მოთავსდება ბანკი. ხუთი მაღაზიიდან ბანკს ყოველწლიურად შემოუვა არა ნაკლებ 8 ათასი მანეთისა. ამას თუ მიუმატებთ იმ ფულს, რომელსაც იგი იხდის დღეს სახლის ქირათ, ყოველწლიწადს, ე. ი. 2,000 მან., ბანკს ექნება წელიწადში შემოსავალი 10,000 მ

რაც შეეხება ღირებულობას ამ მამულებისას, ეს თითქმის გადაწყვეტილიც იყო ერთ დროს, ე. ი ბანკი ქალაქს უთმობდა მამულს 140,000 მან. ქალაქი-კი ბანკს—60,000 მან. ყოველივე შემთხვევაში, თუ ეს ფასი სადღეისოთ მიღებული არ იქნება, მაშინ შეიძლება ორივე მხრიდან ამორჩეულმა კომისიამ შეაფასოს ერთიცა, და მეორეც. მაგრამ, ჩემის აზრით კი, ეს ფასი ორივე მამულზე ზედ გამოჭრილია და თუ მაინც და მაინც ცოტა რამ განსხვავება იქნება ეს არც ისე საზარალო იქნება რომელიმე მხარესთვის, ვინაიდან ორივე მამული თითქმის ერთისა დიმავე საზოგადოების ქონებათ უნდა ჩაითვალოს. და თუ ძველ ფასზე შეჩერდებიან, მაშინ 140,000 მანეთში საურთიერთო ბანკი მეიღებს 60,000 მანეთად ღირებულ შენობას ქალაქისას და ნაღდ ფულად 80,000 მან., რომელიც ბანკის თანხად ჩაირიცხება და ურიგო არ იქნება.

ქალაქი კი ამ ფულს ადვილად იშოვის და აი როგორ: გაცვლილი მამულის სათ. აზნ. ბანკში დაგირავებით ქალაქს შეუძლია მიიღოს 140,000 მან. აქედან საურთიერთო საზოგადოებას მისცემს 80000 მან. დანარჩენს კი მოახმაროს ამავე შენობის შეკეთებას. გადაკეთებული სახლიდან შემოსული ფული თამამად დააკმაყოფილებს ბანკის ვალის პროცენტებს. ამგვარათ ქალაქს ექნება თავისი საკუთარი ბინა და საკუთარი საუკეთესო ადგილი თეატრისათვის.

ის შენობა კი, სადაც დღეს თვითმართველობა არის, ისევ კლუბს მიქირავდება და ეს შემოსავალიც ქალაქს დარჩება.

ვლ. წერეთელი,

ებრაელების ცხოვრებიდან.

სამი დიდი პიროვნება

(დასასრული იხ. №356.)

მეცნიერებაში საკმაო სახელის მოხვეჭის შემდეგ, შეხტერი მიწვეული იქნა ინგლისში ქ. კემბრიჯის უნივერსიტეტში პროფესორათ. აქ მან გააფართოვა თავისი ახალ-ახალი გამოკვლევა ძველს ბევრ რელიგიურ ეთიკაზე. იმგზავრა რომსა და ეგვიპტეში, მონაწილეობა მიიღო აზურიოლოგიურსა და არქეოლოგიურ სამეცნიერო ექსპედიციაში. აღმოაჩინა მიწის გულიდან ბევრი რამ 3 ათასი წლის წინ ჩაყლაპულ თიხაზე ნაწერები, რომლებიც ამართლებენ ბიბლიაში მოხსენებულ ამბებს და დიდათ შეარყია თავისუფალი მოკრიტიკეების მოსაზრება, ბიბლიაზე ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა, რომელიც მე განვიცადე ჩემს სიცოცხლეში.

1907 წელს, ქ. ჰააგაში მოხდა ებრაელთა კონგრესი, რომელზეც დაესწრენ გამოჩენილი პუბლიცისტები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, რაბინები და სხვ. აქ შევხვდებოდით ინგლისელ ლორდ სვეტლინგს, ნიუორკელ მილიონერებს, საფრანგეთის არისტოკრატებს, გერმანელების ნაასიმილატორებს, რუსეთის დიდ რაბინებს და დაბალი ხალხის დელეგატებს ლორდ სვეტლინგმა ჰააგიდან ლონდონს დელეგატები გაიწვია და ბანკეტი გაუმართა, საკუთარი ორთქლ-მავალი შევენიგენის ნაპირას მიაყენა და სტუმრები იქ მოგვათავსა. დილა იყო, მზე ნელ-ნელა ამოდიოდა და თავის ბრწყინვალე სხივებს ზღვას აშუქებდა, თითქმის ყველას დაავიწყდა თავისი პიროვნება, მიმართულება და შეექმნათ ებრაელთა ძმობა-ამხანაგობა სუფევდა ერთგვარი ჰარმონია ზღვაც თითქმის პატივისცემით გვეპყრობოდ სასიამოვნოთ ნიავს თუ გამოუშვებდა, თორემ ბეწვის ოდენათ არ ინძრეოდა. ხომალდის თავზე რაღაცა მომხიბლავი და საოცნებო საყურებელი შეიქნა, ებრაული ენა მეფობს და ყველა ებრაელს მომავალი ნუგეში ახარებს. ყველას დაუვიწყნია, თუ იგი დევნილია თავის სამშობლოში და ამ შუა გულ ატლანტის ზღვაში გრძნობს თავისუფლად ამოსუნთქვას... ჩვენი საამაყო მგოსანი ბიალიკი გადასცქერია ზღვას და ოცნებაში გართულა—„ალბათ ზღვის საიდუმლოს მალე მოვისმენთო"—მეუბნება ერთი ამხანაგი. შუა ზღვას დამჯდარა მაკს ნორდაუ მას შემოხვევიან ოსკერ მარმორიკი, შტრაუსი, უსიშკინი და ყურს უგდებენ მის სანუგეშო საუბრებს. სხვათა შორის იქ მოსჩანს მშვენიერი სახე, ბრძენის თვალები და დიდი შუბლი...

მის ახლოს მოუყრიათ თავი ფილოსოფიის მოყვარეებს და დიდის სიდინჯით ყურს უგდებენ ამ (ფილოსოფის) ბრძენის სიტყვებს ეს იყო პროფესორ ს. შეხტერი. ცოტა ხნის შემდეგ მისმა სანატრელმა სიტყვებმა და მშვენიერმა ფიზიონომიამ, ყველას ყურადღება მიიპყრო. ყველა ოცნებაში ჩავვარდით. სიჩუმე ჩამოვარდა მყუდროობა დაარღვია პროფესორმა ბრენფელდმა და ფრ-შეხტერს მიმართა: თქვენ რა აზრისა ბრძანდებით შაი გურევიჩის ახალ წიგნზე, რომელშიაც ეხება ბიბლიას და საშინლად აკრიტიკებს მას? მე კი ვშიშობ, რომ დიდ ზარალს მოუტანს სარწმუნოებას მაგ წიგნის გავრცელებაო, დაუმატა ბ. ბრენფელდმა. ყველას თვალები შეხტერს მისცქეროდნენ. მან გაიღიმა და შემდეგი წარმოსთქვა: იმ ბიბლიამ, რომელმაც გაუძლო კრახმალს, ლუცატოს, სონცს, სპინოზას, დრავინ ვაისის კრიტიკებს, იმ სარწმუნოებამ, რომელმაც შეუძლო ბაბილონის ცეცხლის მახვილს, ფარსულ ორმიზს, ბერძნების ფილოსოფიას, და ფიზიკურ ძალას, რომაელების ზარბაზნებს და ესპანიელების ინკვიზაციას—სასაცილოა, რომ მას აგრე სისუსტე მივაკუთნოთ და რომელიღაც გურევიჩის კრიტიკამ [illegible] მელ სარწმუნოებასაც ან კრიტიკის ან ფილოსოფიის ეშ[illegible] ჰიროა მხოლოდ ბნელა კოშკში, რომ კარ ფანჯრიდან სინათლე არ მიეკაროს, თორემ იგი დაზიანდება იმისთანა სარწმუნოება სჯობია გვიან თუ ადრე სულ დაზიანდესო. წმინდა სარწმუნოებას კი ვერაფერი ვერ აზარალებს. და სწორეთ ბიბლია იმისთანა წმიდათა წმიდაა, რომ მილიონი კრიტიკა დაიწერება, ყველა დაძველდება, მაგრამ ის თავის ღირსებას ხალხში არ დაკარგავსო. ეს დიდებული და დაუვიწყარი ადამიანი 5 წელიწადია, რაც ნიუორკში რექტორათ გადაიყვანეს რაბინერ სემინარიაში.

ონის რაბინი დავ. ბააზოვი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან —	დილის -	8 ს.	5 წ.
„ —	საღამ. -	8 ს.	55 „
ბათომიდან —	დღისით -	12 ს.	45 „
„ —	ღამის —	2 ს.	25 „
ფოთიდან —	დილის -	10 ს.	31 „
ტყიბულიდან —	საღამოს —	6 ს.	55 „
შორაპნიდან —	დილის —	9 ს.	24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ —	დილის —	11 ს.	5 „
„ —	ღამის —	12 ს.	30 „
ბათომისაკენ —	საღამოს —	7 ს.	10 „
„ —	დილის —	6 ს	— „
ფოთისაკენ —	დღისით —	4 ს.	13 „
ტყიბულისკენ —	დილის —	5 ს.	25 „
შორაპნისაკენ —	დღით —	6 ს.	25 „

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ახალებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

* * *

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყალ დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.